№ 264
კვირა, 5 დეკემბერი 1893

1877—1893

# ივერია

№ 264
კვირა, 5 დეკემბერი 1893

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 8 დეკემბ.**

„ივერია“
გამოვა 1894 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 8 დეკემბერს,
25 წლის იუბილეის ბენეფისი
ვ. ა. აბალიშვილისა
ქართულ დრამატიულ საზოგადოების
დასის-მიერ
წარმოდგენილი იქნება:
**გლახაკნი სულითი**
დრ. 4 მოქ. პოტეხინისა, თარგ. ნიკიტინისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. აბალიშვილისა, ყიფიანისა, მაქსიმიძისა; ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხიშვილი, გუნია და სხ.
ადგილების ფასი საბენეფისოა
დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ

**წლიური საზოგადო კრება**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე 11 §-ისა, დანიშნულია ქრისტეშობისთვის 19, დილის 10 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა, ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1 ენკენისთვითგან 1892 წ. 1 ენკენისთვემდე 1893 წლისა, ბ, მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ $18^{93}/_{94}$ წლისა ივის, გ, მოხსენება სარევიზიო კომისიისა წარსულის $18^{91}/_{92}$ წლის ანგარიშის შესახებ, დ, მოხსენება გამგეობისა საზოგადოების საქმეთა წარმოების შესახებ, და ე, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(4—1)

## ტფილისი, 5 დეკემბერს

ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიახდინა განკარგულება, რომ საპყრობილეში მოხელეებად აღარ იქმნან დანიშნული სამსახურიდგან დათხოვნილი აფიცრები. ამ გვარისავე წესის შემოღებას მოელიან სამსახურითგან დათხოვნილ სამოქალაქო მოხელეთა შესახებ.

სამინისტროს განკარგულებას, უეჭველია, ისა აქვს საფუძვლად, რომ ცუდის ყოფა-ქცევის კაცნი ვერც საპყრობილეში შეიტანენ ჭეშმარიტებას; ვერც იქ მოჰფენენ კეთილისა და სიმართლის სხივს.

რასაკვირველია, პატიოსნება და ხასიათის სიწმიდე ყოველგან და ყოველს საქმეში აუცილებელ საჭირო თვისებად უნდა ითვლებოდეს, მაგრამ, იქნება, არც ერთს ადგილას არ იყოს ისე საჭირო უმანკოება სულისა, სისპეტაკე გრძნობისა და კაცური კაცობა, როგორც საჭიროა საპყრობილის მოხელისთვის.

იქ, სადაც უკუღმართს ბედს რამდენიმე ასი კაცი მოუმწყვდევია ერთს ბინაზედ; იქ, სადაც მხოლოდ სიყვარულსა და შებრალებას შეუძლიან შეიტანოს ღვთიური გრძნობა ადამიანის გაციებულს გულში, ისეთს ადგილს, რასაკვირველია, კაცია საჭირო, კაცი გამსჭვალული სათნოებით, ნაკურთხი ზეცით, და არა გულ-ქვავი, გარეგნობით კანონის აღმასრულებელი მოხელე.

როდესაც ყოველი ღონისძიება, ყოველი სასტიკი საშუალება უნაყოფოდ რჩება ტუსაღის ზნეობის გასასწორებლად, მის კეთილს გზაზედ დასაყენებლად, მაშინ მხოლოდ სიყვარული და სათნოება გაიკაფავს გზას გულისაკენ. იქ, სადაც რისხვა, სასჯელი და ტანჯვა უძლური იყო, კეთილი სიტყვა, ალერსიანი მოპყრობა და ნდობა გასჭრის.

შეუძლებელია ადამიანის ბუნება ისე გაშმაგდეს და გაბოროტდეს, რომ სამართლიანმა და ლმობიერმა მოქცევამ სიკეთე არ მოიტანოს. საპყრობილისა და ავაზაკთა ცხოვრებაში მრავალჯერ მომხდარა, რომ ერთს კეთილს მაგალითს, ერთს სათნო სიტყვას აღედგინოს ძირს დაცემული კაცი, შთაენერგოს სიწმიდე სულისა და სამართლიანობა. ვიქტორ ჰუგოს კატორგიდგან გამოქცეული ავაზაკი ჟან ვალჟანი, რომელსაც ისე ერიდებოდა მთელი ქვეყანა, როგორც მხეცს, ერთის მაგალითით დაადგა კეთილს და სამუდამოდ უარ-ჰყო ავ-კაცობა. ეს შემთხვევაც ის იყო: როდესაც ავაზაკს ჟან ვალჟანს არავინ არ გაათევინა ღამე, მაშინ ეპისკოპოსმა მირიელმა მიიღო თავის სახლში. ხოლო მეორე დღეს პოლიციამ ჟან ვალჟანი დაჭერილი მოუყვანა მღვდელთ-მთავარს, რადგანაც თითონვე გამოტყდა, რომ ვეცხლის იარაღი, რომელიც იმას უნახეს ხელში, ეპისკოპოსისა არისო.

სათნო მამამ უბრძანა ქურდი განეთავისუფლებინათ, მოპარული ვერცხლის იარაღიც უბოძა და ასე უთხრა: „შვილო, შენ სულ უბრალოთ დაუჭერიხართ, რადგანაც ეს ნივთები ისეც შეგეძლო წაგეღო... ღმერთმა მოგახმაროსო!

ასეთმა საქციელმა დაჟანგულს გულზედაც-კი ისეთი გავლენა იქონია, რომ ავაზაკმა მყისვე იგრძნო უზომო სინანული, მოიქცა და შესანიშნავ ქველის-მოქმედ კაცად შეიქნა.

მაგრამ სათნოებითა და სიყვარულით რომ მეტის სიკეთის დათესვა შეიძლება, ვიდრე სასტიკად მოქცევით, ამისი მაგალითი განა ერთია?

ამ მხრით შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულება, რომ საპყრობილეში აღარ ექნეს ალაგი ისეთ მოხელეს, რომელიც მის უმახლობელეს მთავრობასაც-კი ვერ უცვნია საიმედოდ, სწორედ, რომ სრულის თანაგრძნობის ღირსია და მოსაწონი.

მაგრამ რაკი მთავრობა ამ გზას დაადგა, სასურველია ბარემ ისეთ კაცებს ჩააბარონ საპყრობილის უფროსობა, შეფერხებულ და გზა დაბნეულ საბრალო ადამიანებთან საქმის დაჭერა, რომელთაც ნამდვილად ულვიოდეთ გულში ქრისტიანული გრძნობა და მარად ახსოვდეთ მაცხოვრის სიტყვა: „მოვედ მოძიებად წარწყმედილისა ცხოვარისა“.

მხოლოდ მაშინ დაგვიბრუნდება ჩვენის საპყრობილეებითგან ზნეობა გასწორებული, მონანებული და ქვეყნისათვის გამოსადეგი კაცები, რადგანაც კეთილი, სიყვარულითა და სათნოებით აღსავსე მაგალითი, გან-

## ფელეტონი

### იოაკიმე და ანნა

(სურათი)

— ანნა, ანნა, შინა ხარ?

— შინა ვარ, შინა. მომიცადე, ეხლავე გამოვალ.

— თუ ღმერთი გწამს, გამო, ნუ დაიზარებ, მარტოკა ვარ,—ხვეწნით შესძახა იოაკიმემ ანნას და ჩამოჯდა ეზოს პირას, ტივის ხეზედ.

მშვენიერი საღამო იყო. სიო არ იძროდა. ლაჟვარდად მოკრიალებულს ცაზედ თეთრს მტრედებსავით გაბნეულიყვნენ პატარ-პატარა ღრუბლები; დედამიწას, გვალვისაგან, გაყვითლებულ გულითგან მსუბუქი ოშხივარი ასდიოდა. ის-ის იყო, აგვისტოს მძლავრმა მზემ განსვენებას მისცა თავი და თავისის სხივების მოფარებით გააგრილა გახურებული ჰაერი და, საშინელ პაპანაქების შემდეგ, ადამიანს თავისუფლად ამოასუნთქებინა.

სოფლის შუა მიმავალ გზაზედ ბავშვებმა იწყეს ჩვეულებრივი კიჟინი და ცუღლუტობა; ეზოს კარებებთან გამოსხდნენ დიასახლისები; მეზობელი მეზობელს მიუახლოვდა და გააბეს ტკბილი ბაასი დღიურს ჭირ-ვარამზედ.

იოაკიმე მოთმინებით იჯდა მუხის ნამორზედ და ელოდდა ანნას. დაბჯენილი იყო თავის ბერკეტზედ და ტკბილს ფიქრებს მისცემოდა. ძალზედ დაღარული პირი-სახე, ოთხმოცის წლის ქარ-ცეცხლ გამოვლილი დაბინდული თვალები დ უკბილობით ჩავარდნილი ბაგე რაღაც სამოთხის ღიმილით იყო მოცული. ტანზედ ეცვა შავი სუფთა ჩოხა, შავის დიბეტის ახალუხი და თეთრი განარნარებული პერანგი, თავზედ ეხურა ძველებური მაღალი კალმუხის ქუდი, დარბაისლურად წარბებამდე ჩამოფხატული, ფეხთ ეცვა გაწყობილი წინდა-ქალამანი, თავისის საცვეთებით.

პირველს შეხედვაზედ იოაკიმე საჯვაროზოდ მოკაზმულს გლეხ-კაცს ემსგავსებოდა, მაგრამ თუ დააკვირდებოდით იმის ჭაღარა გამონაქვთულ ულვაშებს, სუფთად მოპარსულს პირსა და სახის-მეტყველებას, შეამჩნევდით, რომ გლეხზედ გაცილებით მაღლა იდგა და წარსულში თავის წოდების შესაფერად მომატებული ჭირი და ლხინი ენახა, ცხოვრების ასპარეზი, გლეხის ვიწრო და მოკლე მხედველობასთან შედარებით, ბევრით გადაბიჯებული ჰქონდა.

— უკაცრაოთ, იოაკიმე, გაცდევინე. საქმე მქონდა და მანამ არ გავათავე, თავი ვერ დავანებე.

— რა მიშავს, რა, ჩემო ანნა, მოდი დაჯექ. მადლობელი ვარ, რომ არ გეზარება ჩემთან ბაასი.—იოაკიმემ მიიწია და გვერდს მოისვა თავისი მეგობარი ანნა, სამოცის წლის მოხუცი დედა-ბერი, მერე ხელი ჩამოართვა და თავისის, ჩირივით გამხმარის, ხელით რამდენჯერმე ხელი გადაუსვა:—ჩემო ანნავ, ჩემო ტკბილო ანნავ! ძრიელ დაბერებულხარ, ძრიელ.

— ძრიელ დავბერებურვარ?! შენ-კი, ჩემო ბატონო იოაკიმ, განა ძრიელ ყმაწვილი ხარ?

— ეჰ, სად არის სიყმაწვილე, სად! სიყმაწვილე-კი არა, ჩემო ანნა, და სიძაბუნე-კი მეწვია: თვალთ აღარ მიჭრის, ყურში მძიმეთ მესმის, ფეხზედ, თუ არ ამ ყავარჯნით, ველარ ვსდგები. წასვლის დრო მაქვს, წასვლისა! ხუმრობა ხომ არ არის, ოთხმოც-დამეორეში გადავდექი. ღმერთმა უშველოს შენს ძმისწულს, რომ შენ აქ მოგიყვანა, შენმა ნახვამ გამამაფხიზლო; შენს ახლოს თითქო ვღონივრდები, სიძაბუნე მავიწყდება, მავიწყდება, რომ დროს გადასული ვარ და მხოლოდ მოგონებით ვხალისდები; შენს გვერდით რომ ვზივარ, ასე მგონია, შენ ისევ ჩემი წინანდელი სალოცველი მშვენიერი ანნა ხარ და მე შენი მოტრფიალე ჭაბუკი იოაკიმე. ამ სიტყვებზედ მოხუცმა სანჯალი გაისწორა, ულვაშებზედ ხელი გადაისვა, დაბინდული თვალები ცხოველის ღიმილით აევსო.

— არც მე ვარ შენზედ უკეთ,—ამოოხვრით მიუგო ანნამ:—ეს ცალი თვალი სულ ერთიან ამომეშრიტა, წამ-და-უწუმ გულის ფრიალი მომდის, ხან-და-ხან ისეთი ხველა და ქიშინი მომივლის, რომ მგონია, ეს არის წუთისოფელს გამოვეთხოვე-მეთქი.

— საწყალი, ჩემი ანნა, საწყალი! ნეტა იმისთანა წამალი მოიპოვებოდეს ქვეყანაზედ, რომ ორივე გავიკურნებოდეთ, გავყმაწვილდებოდეთ, ნეტავი!—გასაოცარის სიტკბოებით უთხრა იოკიმემ ანნას და ისევ ხელში აიღო მოხუცის ხელი და განაგრძო: გახსოვს ის დღე, ჩემო ანნავ, მე რომ ჯარში გამისტუმრეს, გახსოვს იმისი წინა ღამე, ეს ტკბილი მთვარით გაბრწყინვალებული ღამე, როდესაც პირველად მიგიკარ გულზედ და შენის სიმშვენიერით დამთვრალი ცრემლებით გილბობდი ბაგეს?

— მახსოვს და ან როგორ დამავიწყდება, მანამ პირში სული მიდგას, როგორ დამავიწყდება ის, რაც მხოლოდ ერთხელ მოხდა ჩემს სიცოცხლეში და მეორედ აღარ განმეორებულა!..

— მართლა?! მართალს ამბობ!—მალხაზად წამოიძახა ოთხმოცის წლის ტარიელმა და ხმის კანკალით დაეკითხა თავის ნესტან-დარეჯანს:—მაშ შენი ქმარი არ გყვარებია? მაშ სიყვარულით არ გაჰყევ იმას?

— მყვარებია? ვინ? გოგია? შენს შემდეგ განა შესაძლებელი იყო, არა, იოაკიმე, სიბერემდე სიყვარული არ მინახავს და ჩემი ცხოვრება ამისათვის თუ იყო ისე უბედური და უფერული. ერთი დღე ბედნიერი არა მქონია: შვილები არა მრჩებოდა, ქმარი ერთი ბეჩავი, შეუგნებელი გლეხკაცი იყო, კარში არ მიშვებდა და ჩემი სილამაზე თითონ თვალშიაც არ მოსდიოდა. შენ-კი ცოცხლებ შორის არც-კი მკლებიხარ.

— მე-კი ვიცოდი საცა იყავ, ვისაც ეკუთვნოდი, მაგრამ ძალა არა მქონდა, დრო ნებას არ მაძლევდა, რომ წამერთმიე და ჩემი სატრფო ჩემადვე მექციე!—აქ იოაკიმემ უფრო ახლო მიიწია ანნასთან, წელზედ ხელი მოჰხვია და იმის დაღმეჭილს ლოყას თავისი დავრდომილი თავი მიაყუდა.

ამ დროს თხუთმეტის დღის ბადრმა მთვარემ ღრუბლებითგან თავი გამოჰყო, შუქით მოჰფინა არე-მარე და თავისი მკრთალი სხივები იოაკიმეს და ანნასაც მიაყენა.

— ხა' ხა! ხა! რა სურათია!—მოისმა ამათს დანახვაზედ მხიარული კასკასი ყმაწვილებისა. და მოჭარბებულმა სიცოცხლემ ახლებისამ მთლად დაარღვია და შეურაცხ-ჰყო ნაზი საიდუმლოება გარდასულებისა, უშვერად გაწყვიტა უკანასკნელი წამი სიტკბოებისა და სამუდამოდ ჩააქრო ოდნავ მბჟუტავი შუქი სიცოცხლისა.

ეკ. გაბაშვილისა

საცდელის დროს ნახული, უნაყოფოდ არასოდეს არ ჩაივლის.

მხოლოდ ამ შემთხვევაში გაღვიძებათ სურვილი პატიმართა დაბრუნდნენ ხალხში კეთილ და მშრომელ მუშაკად.

მეველე

# ახალი ამბავი

** ყოველ რიგიან სასწავლებელში ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული მუზიკის სწავლას და ამ აზრით შემდგარი არის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ორკესტრები. სათავად-აზნაურო სასწავლებელს ამდენხანს არ ჰქონია საშუალება შეედგინა საკუთარი ორკესტრი. ეხლა რამდენსამე პირს აქვთ განზრახვა შემწეობა აღმოუჩინონ ამ მხრით სკოლას და სამშაბათს, 7 დეკემბერს, მართავენ სალიტერატურო საღამოს „მუზიკალურ კრუჟოკის“ დარბაზში. ამ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ კნ. ნინო ორბელიანისა, თ. აკაკი, ალექსი-მესხიშვილი, აბაშიძე, გედევანიშვილი, აწყურელი და სხ. იმ აზრით, რომ მთელი შემოსავალი ამ საღამოდგან გადასცენ სათავად-აზნაურო სკოლის მთავრობას სკოლის შაგირდებისათვის მუზიკალურ ინსტრუმენტების საყიდლათ, რომ სკოლაში შესდგეს რიგიანი ორკესტრი (Струнный).

** 1 დეკემბერს პეტერბურგის გუბერნიის თავად-აზნაურობამ პატივი სცა საფრანგეთის ელჩს გრაფ მონტებელლოს. ამ დღისთვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა ლ. ა. მაღალაშვილმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა პეტერბურგის თავად-აზნაურთა წინამძღოლს გრაფ ბობრინსკის:

„პეტერბურგის გუბერნიის წინამძღოლს გრაფ ბობრინსკის.

ქართველმა თავად-აზნაურობამ დიდის სიამოვნებით შეიტყო, რომ პეტერბურგის თავად-აზნაურობა დღეს სადილის გამართვით პატივსა სცემს საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩს პეტერბურგში. ეს დღესასწაული კიდევ ერთხელ ნათლად ამტკიცებს იმ თანაგრძნობას და სიყვარულს ორის დიდებულის ერისას, რომელიც გამოაშკარავდა მაშინ, როდესაც ფრანგები ისეთის აღტაცებით დაუხვდნენ ჩვენს მეზღვაურებს და ჩინებული დღესასწაულები გაუმართეს. რადგანაც პირადად ვერ ვესწრობი დღევანდელს სადილს, ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას გადასცეთ გრაფ დე-მონტებელლოს გრძნობანი გულ-წრფელის სიყვარულისა და მეგობრობისა, რომლითაც გამსჭვალულია გული ყოველის ქართველისა ფრანგთა მიმართ. გულით და სულით დღევანდელ ძმურს სადილზედა ვარ და ვბედავ ამ შორეულ ქვეყნიდგან საზოგადო სიტყვებს „Vive la France,“ რომელიც ყოველ წამს მზად არის წარმოსთქვას ყოველის რუსის გულმა და რომელიც წარმოითქმის აგრეთვე თქვენს სადილზედაც, შევუერთო ქართველ თავად-აზნაურობისა და კერძოდ ჩემის მხრით ჩვენი მამა-პაპური „მრავალ ჟამიერ“. ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი მის უდიდებულესობის კარის კამერჰერი მაღალაშვილი.“

ამ დეპეშაზედ ლ. ა. მაღალაშვილს პასუხად შემდეგი დეპეშა მოუვიდა გრაფ დე-მონტებელლოსაგან:

„დიდად მესიამოვნა, როცა შევიტყე საფრანგეთისადმი საქართველოს თავად აზნაურობის გულ წრფელი თანა-გრძნობა, რომელიც დამტკიცდა მით, რომ მაგ თავად აზნაურობამ პატივი სცა გუშინდელს სასიამოვნო დღესასწაულს. განსაკუთრებით მესიამოვნა თქვენ მირ გამოთქმული სურვილი, საფრანგეთის საერო სადღეგრძელოს ზედ დავურთავთ ჩვენს მამა-პაპურს მრავალ ჟამიერსაო. მადლობას გწირავთ მთელის ჩემის ქვეყნის სახელით. მონტებელლო (Кавказъ).

** ტფილისის მართლ-მადიდებელ სასულიერო სემინარიაში 1 დეკემბრიდგან სწავლა მოისპო. ეს ამბავი მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესმა საქართველოს ექსარხოსმა უწმიდესს სინოდს აუწყა. (Кавказъ“).

ამბობენ, რომ სემინარიაში სწავლა მხოლოდ 8 იანვარამდე იქმნება შეჩერებული.

** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს აუწყებენ, რომ ახალქალაქის მაზრაში სახადი გაჩნდაო. სახადით ავად გამხდარა 20 კაცი, მათგან გარდაცვლილა 2.

** გუშინ, დეკემბრის 3-ს, სამხედრო ოლქის სისხლის სასამართლომ განიხილა ქიქოძეს საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა კავკასიის რკინის გზის სადგურ ხაშურის ჟანდარმის, გრუზინის, მოკვლა. სამხედრო ოლქის სასამართლომ ქიქოძე ბრალდებულად სცნა ამ კაცის კვლაში და დარჩობა გადაუწყვიტა. სასამართლო თავის განაჩენს კავკასიის მთავარ-მართებელს წარუდგინა დასამტკიცებლად.

** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს აუწყებენ, რომ ყვარელში ყვავილი გაჩნდა და მრავალი ყმაწვილები არიან ავად.

** რადგანაც ტფილისში ქურდობა ძლიერ გამრავლდა, ბ-ნ პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, ღამ-ღამე პოლიცეები მეტი დააყენეთ ქუჩებში და თქვენც იარეთ ხოლმე დასაზვერადაო.

** ქუთაისის ბანკის საზოგადო კრების ვადის დანიშვნის შესახებ ფინანსთა მინისტრს დეპეშა მიეწერა და ეკითხა, რომელი უფრო უნდა ჩავთვალოთ კანონიერ ვადად: ზედამხედველ-კომიტეტის თავმჯდომარეს-მიერ დანიშნული 10 დეკემბერი, თუ ზედამხედველ კომიტეტის სამის წევრის-მიერ დანიშნული 20 მარტიო? ფინანსთა მინისტრისაგან უკვე მოსულია საპასუხო დეპეშა ტფილისის გუბერნატორს, რომელშიაც ნათქვამია, რომ ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეს თავის ნებით, წევრთა დაუკითხავად, უფლება არა აქვს საზოგადო კრების ვადა დაჰნიშნოს, ამიტომ 10 დეკემბრისათვისავე დანიშნული ვადა უკანონოაო. ამგვარად, კრება 10 დეკემბერის მაგიერ, შესდგება 30 მარტს, როგორც დაუდგენიათ ზედამხედველ კომიტეტის წევრთ.

** სამშაბათს, 7 დეკემბერს, $7^1/_2$ საათზედ დანიშნულია კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრება პორიგ საქმეთა განხილვის გარდა მოისმენს ბ-ნ ი. ო. იუსელიანის მოხსენებას ჭირნახულის მოსავლის შესახებ ამიერ-კავკასიაში 1893 წელს და ბ-ნ ს. ზავაროვისას: რა აზრი უნდა დავასკვნათ იმ მასალის გამო, რომელიც ხელში გვაქვს წლევანდელ მოუსავლობის შესახებ და რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული მოუსავლობით დაზარალებულ მკვიდრთა დასახმარებლად. კრებაზედ არა-წევრთაც შეუძლიათ დაესწრნენ.

** ჩვენ მივიღეთ ტფილისის სატეხნიკო სასწავლებლის შეგირდებისაგან 10 მან. შოთა რუსთაველის ფონდის სასარგებლოდ. ამ ფულისა გვქონდა დღემდე 279 მან. 20 კაპ. შესდგა სულ 289 მან. 20 კაპ.

** ამას წინად ხმოსანმა ქალაქის საბჭოსამ ბ-ნმა ვეცელმა გამოუცხადა ქალაქის მოურავის მოადგილეს პ. ა. იზმაილოვს, რომ საგურამოს ტყეში აღმოჩნდა ჩინებული წყარო, რომელიც ძალიან ბევრს წყალს იძლევა ასე რომ იქნება, მთელს ქალაქს ეყოსო. ბ-ნმა იზმაილოვმა წაიყვანა რამდენიმე მცოდნე კაცი საგურამოს ტყეში, გასინჯა ახლო-მახლო მდებარე ადგილები, წამოიღო წყალი ნიმუშად და გარდასცა პროვიზორს ოტტენს ქიმიკურად გასასინჯად. ხმოსანმა ოტტენმა გასინჯა ეს წყალი და აღმოჩნდა, რომ იგი ერთიორად სუფთა ყოფილა ავჭალის წყალზედ, რომელსაც ქალაქი ჰხმარობს, სალია და უფრო ცივიც. ამ ღირსებათა გარდა წყარო დღეში იძლევა ორ მილიონ ვედრაზედ მეტს, ე. ი ოთხჯერ მეტს, ვიდრე ავჭალის წყარო. საგურამოს წყარო სტაროსელსკის ტყეში იმყოფება.

** ქალაქის გამგეობამ უკვე გაათავა ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა სამერმისო შემოსავალ-გასავალისა. ჯერჯერობით დაბეჭდილია აღრიცხვა შემოსავლისა, რომელიც გამოანგარიშებულია 851,655 მანეთამდე, ე. ი. მერმის 65,906 მანეთით მეტია ნაანგარიშევი ვიდრე ამა 1893 წლისათვის.

** მოსკოვი: აქ ჩქარა გაიმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო, რომელზედაც, სხვათა შორის, ქართული სასიმღერო ხმებიც იქნება თქმულნი. ჩვენს სიმღერებს აქაურმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია. ბ-ნ იპოლიტოვ-ივანოვი, რომელსაც კარგად იცნობს ტფილისის საზოგადოება, ამზადებს წერილს ჩვენებურ სიმღერა-გალობის შესახებ ჟურნალ „Артистъ“-ისათვის. წერილთან დაჰბეჭდავს ნოტებს რამდენისამე გალობისა და სიმღერებისას.

## დამაკვირდი

ერთად შეყრილნი მამა-კაცნი ურთიერთის აზრს ისმენენ; დედა-კაცები-კი ერთმანეთს სინჯავენ და ათვალიერებენ.

ჩინური ანდაზა

**

წიგნი ერთის მხრივ მალიანა ჰგავს ცეცხლს: ნაკვერჩხალს ვთხოულობთ ჩვენის მეზობლისაგან, ამით ცეცხლს ვაჩენთ, მერე სხვას ვაძლევთ ნაკვერჩხალს და ამ გვარად ცეცხლი საზოგადო საკუთრება ჰხდება.

ვოლტერი

**

ზოგსა ჰგონია: სარკმელი რომ გვქონდეს, დღის დიდებული მნათობი არასოდეს არ ჩავიდოდაო. მეორენი-კი იმ აზრისანი არიან, სარკმელი რომ არა გვქონდეს, მზის სხივი არასოდეს არ შეგვაწუხებდაო.

ბერნე

## კნ. ბ. ავალიშვილის ქართულ სცენაზედ სამსახურის გამო

ამ თვის 8-ს ჩვენი არტისტ ქალის კნ. ბ. ავალიშვილის ბენეფისი არისხ დანიშნული. ეს ბენეფისი იმდენად საყურადღებოა ჩვენის საზოგადოებისათვის, რომ მოვალეობა მოითხოვს ორიოდე სიტყვა ვსთქვათ ამაზედ.

წლევანდელის სეზონის სამსახურით, ხსენებული არტისტი ქალი ასრულებს ოცდა-ხუთის წლის სამსახურს ქართულ სცენაზედ. ამიტომაც ეს ბენეფისი არ შეიძლება ჩვეულებრივ ბენეფისად ჩავთვალოთ, არამედ იგი უნდა იყოს გადახდილი საიუბილეო დღესასწაულობით, რომელზედაც ყველა გაგებიანის ქართველისაგან მოითხოვება მობენეფისესადმი შესაფერი თანაგრძნობისა და მადლობის გადახდა. ამ დღეს ყველა ქართველი უნდა შეერთდეს ერთ ჯგუფად და იმ სიამოვნებით აღაფრთოვანოს თავისი გრძნობა, რომ საზოგადო საქმის მუშაკნი მანდილოსნებშიაც კი გვყავნან, რომელნიც ხანგრძლივისა და უანგარო სამსახურით ხელს უწყობენ საზოგადო საქმის დღეგრძელობას და აღყვავებას და ამით იმის მომავალს საიმედოდა ჰხდიან.

რომ ყველასათვის ცხადი იყოს ეს ჩვენი ნათქვამი, საჭიროა გავიხსენოთ წარსული, ანუ, უკეთა ვსთქვათ, დასაწყისი ქართულ თეატრის იმ ხანასი, რომელიც ჩვენის თეატრის ისტორიაში „სამუდამო თეატრის დაფუძნების ხანად“ უნდა იწოდებოდეს და რომელშიაც კნ. ბ. ავალიშვილისა, ვითარცა მანდილოსანი, უმთავრესს მომქმედ, საქმის ხელის შემწყობ, სულის ჩამდგმელ პირად უნდა ჩაითვალოს... დიაღ, საჭიროა ჩვენის აწმყო თეატრის დასაწყისი გავიხსენოთ, განვიხილოთ რა მონაწილეობას იღებდა მასში კნ. ბ. ავალიშვილისა და მით ყველასათვის აშკარა გავხადოთ ის ნამდვილი ღვაწლი და დამსახურება, რომელიც მას აწ სამუდამო ქართულ თეატრისადმა მიუძღვის.

1867 წელში ერთ პატარა გუნდს ყმაწვილ კაცებისას სამუდამო თეატრის დაფუძნების აზრი დაებადა. ეს აზრი იმ დროისათვის მეტად გაბედული აზრი იყო, რადგან ჩვენი საზოგადოებრივის ცხოვრების მაშინდელი გარემოება ამ აზრის განხორციელების ყოველ მხრივ ხელის შემშლელი იყო. არც სცენა გვქონდა სადმე, არც საჭირო ტანისამოსი და ავეჯი; ასე გასინჯეთ, ბინაც-კი არსად ჰქონდა თავშესაფარი, რომ ამ საქმის მომხრეთ თავი მოეყარათ დ მოელაპარაკნათ ხოლმე. ხოლო რაიცა შეეხება მოწინავე საზოგადოების ანუ ძლიერთა ამ ქვეყნისათა დახმარებას, —აბა, ამისთანა ბედნიერებას ვინ აღირსებდა იმ „ბიჭბუჭების“ გუნდს. მაგრამ ყველაზედ მომეტებულად ის გარემოება აფერხებდა საქმეს, რომ ქართველი ქალი ვერავინ ჰბედავდა სცენაზედ გამოსვლას. აი, ამ გარემოებაში დაიწყო ამ გუნდმა მოქმედება. ჯერ იმედი ჰქონდა ერისთავისეულ აქტიორ-აქტრისებს იპოვნიდა სადმე და შეიერთებდა, მაგრამ იმათგანიც ერთი აქტიორის მეტი ვერსად აღმოაჩინ[ა] და ისიც გვიან. მეტი ღონე არ იყო[,] ქალების როლებში ვაჟები უნდ[ა] ეთამაშებინათ ხოლმე. ამ გაჭირებით და, მაშასადამე, დაბრკოლებით მოდიოდა საქმე და ნაბიჯს ვერა სდგამდა წინ 1869 წლამდის. ამ წლიდგან შეუდგა შინაურ წარმოდგენების გამართვას, რომ ამ ხერხით მაინც გაებედვინებინა ქალებისათვის სცენაზედ გამოსვლა. ამან ნაყოფი მოიტანა. წარმოდგენები დაიწყო საყმაწვილოდამ, კერძო სახლებში და უფრო აი, ამ წარმოდგენაზედ გამოვიდა პირველად კნ. ბ. ავალიშვილისა. შინაურ წარმოდგენებს საზოგადო წარმოდგენები მოჰყვა ჯერ ისევ კერძო სახლებში და შემდეგ კლუბებში, და კნ. ბ. აღარ დაუხევია უკან: ყველგან თავგამოდებით იღებდა მონაწილეობას, თუმცა ამისთვის ბევრ მრახვასა და კილვას ითმენდა შინაურებისა თუ გარეულებისაგან. ამას შემდეგში მხარი მისცა კნ. ელენე ლორთქიფანიძისამ, დიმიტრი ყიფიანის ასულმა. ამათ მოჰყვა ბროძლის ასული ელენე ანტონოვსკისა, ყიფიანის ასული მარიამ ქართველიშვილისა, კორინთლის ასული ბარბარე ყიფშიძისა და სხვ. და ამ გვარად კნ. ბ. ავალიშვილის სცენაზედ გამოსვლით ნავსი გატყდა:—ჩვენს სცენას ქალის შოვნა გაუადვილდა და ამით წარმატების გზასაც დაადგა იგი.

მაგრამ კნ. ბ. მარტო ამით არა აქვს მნიშვნელობა ჩვენის თეატრის დასაწყისისათვის. იგი საქმეში გარევისათანავე მისი სული დ გული შეიქნა, ხოლო იმისი სახლი ქართულ თეატრის მართვა-გამგეობის ბინად გადაიქცა. რეპეტიციები და ყველა გვარი სამზადისი მეტნაწილად იმასთან ხდებოდა და ყველა ამაში გულითადს მონაწილეობას იღებდა იგი შრომითა და ხარჯითაც. ერთიცა-და-მეორეც უჭირდა მაშინ ამ საქმეს, რადგან შემოსავალი არა ჰქონდა-რა თეატრს და, პირიქით, მისი მშრომლებისაგან ითხოვდა ხარჯს. საჭირო მოწყობილებისა და ტანისამოსის კერვა მომზადება, სცენისთვის საჭირო ავეჯის შოვნა და სხ. მეტ ნიწილად კნ. ბ-ს დახმარებით კეთდებოდა. ეს ის დრო იყო, როდესაც აქტიორ-აქტრისა როლის აღმასრულებელიც იყო, ხელოსანიც და მუშაც: ერთის ხელით სცენას და იმის მოწყობისთვის საჭირო საგნებს ამზადებდა და მეორით როლი ეჭირა და სწავლობდა. ამ გვარად დაიბადა ჩვენი აწმყო თეატრი და კნ. ბ...ც ერთგულად და თავ გამოდებით ემსახურებოდა იმის ზრდასა და წარმატებას. თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ, თუ დროზედ არ მოსწრებოდა ჩვენს თეატრს კნ. ბ. ავალიშვილისა, ბევრის ხნით შეფერხდებოდა საქმე და, იქმნება, ახლა სამუდამო თეატრიც არა გვქონოდა. ძალიან შესაძლებელია ასეც ყოფილიყო, რადგან ჩვენისთანა მოუწყობელ გარემოებაში, ჩვენისთანა დაქსაქსულ საზოგადოებაში საქმისა რისამე დაწყობა და შესრულება მხოლოდ ბედნიერ შემთხვევაზედ არის დამოკიდებული და უამისოდ ხშირად დიდი და კეთილი დაწყობილებაც გაქარწყლებულა. ჩვენის თეატრის საქმესაც ასე მოუვიდოდა, მით უფრო, რომ, როგორცა ვსთქვი, „არა სახელოვან“ ყმაწვილ კაცების ხელში იყო იგი და ყოველ მხრივ მოუწყობელ, ხელის შემშლელ გარემოებაში იმყოფებოდა. როგორც უნდა იყოს,

მაინც კნ. ბ. ავალიშვილისას ჩვენის სცენის საძირკველში უდიდესი და უმკვიდრესი ქვა აქვს დადებული და ამ საძირკველზედ არის აწმყო ქართული სამუდამო თეატრი აშენებული.

არ შეიძლება ისიც არა ვსთქვათ, თუ რა ნაბიჯი იყო მაშინდელ საზოგადოების თვალში კნ. ბ-საგან ქართულის სცენის საქმეში მონაწილეობის მიღება. ყველამ იცის, რა თვალით უყურებს ჩვენი საზოგადოება სცენაზედ მოთამაშე ქალს ეხლაც-კი, და ამ ოც-და-ხუთის წლის წინ ხომ ამისთანა ქალი სამარცხვინო საქმის ჩამდენად, თავლაფ დასხმულად მიაჩნდათ. მაშ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო კნ. ბ. შინაურებისაგან და მეტადრე მონათესავეთაგან იმ კადნიერებისათვის, რომ საზოგადო აზრს არ მიჰყვა, შეჰლახა იგი და აქტრისობა დაიწყო! მით უფრო ძნელი იყო იმის მდგომარეობა, რომ იგი მაღალ წოდებას ეკუთვნის და ამ წოდებამ-კი შეწყნარება არ იცის მისის ტრადიციების დამრღვევისა. რა თქმა უნდა, ბევრი შეწუხება უნდა აეტანა ამ კადნიერებისათვის ზნეობრივად და ცხოვრების მხრივაც. აქ უნებლიედ იბადება კითხვა: რა აიძულებდა კნ. ბ. ამ გვარად საზოგადოების აზრის, ჩვეულების შელახვას? იმავე საზოგადოების სამსახურის მეტი სხვა არაფერი,—სხვა არაფერი იმიტომ, რომ ძალიან აშკარად ჰხედავდა—სცენა იმას არას მისცემდა, პირიქით, ხარჯს ითხოვდა იმისგან, მოსვენებას და კეთილდღეობას ართმევდა იმას... ამ ჩვენ დროებაში მეორე ქალი არავინ ვიცით, რომ ასე თავგამოდებულად და წრფელის გულით გამოსულიყოს საზოგადო საქმის ასპარეზზედ და იმის სამსახურისათვის თავის კეთილდღეობა შეეწიროს მთელ ოცდახუთის წლის განმავალობაში. ღვაწლიც მარტო ამისთანა სამსახურსა ჰქვიან და ამიტომაც ჰშვენის მას დიდება და პატივი, ხოლო ჩვენ—ნატვრა, რომ ამ ჩვენს მუშაკ მანდილოსანს ბევრი მიმბაძავი გამოსჩენოდეს ჩვენის საზოგადო საქმეების საკეთილდღეოდ!

ნიკ. ავალიშვილი.

3 დეკემბერს 1893 წ.
ტფილისი.

## ამიცანათა კრებულის გამო.

სხვაგან, სხვა ბედნიერ ქვეყანაში, უფრო ბედნიერი ერია ის, ვისაც სწავლა-განათლება დედა-ენაზე მიუღია, ვისაც, ღვთის სადიდებლად, ღვთისაგან მოცემული ენა უცხო ენაზე არ შეუცვლია, ვისაც დაჩაგვრა, ძალ-მომრეობა, ბუნების ტყვევა არ გამოუცდია, ან დაჰვიწყებია, ის ვერ მიუხვდება იმ სიხარულს, რომელსაც მისი შემნატვრელი ადამიანი ჰგრძნობს, როდესაც მის არსებობის დასაცველად ვინმე რამე სურვილს გამოაცხადებს. რა არის სხვა ხალხისთვის თუნდაც უმშვენიერესი კრებული ამიცანათა?! იქნება რომელსამე გაზეთის მასწავლებელთა საყურადღებოდ გამოეცხადებინა როგორც ახალი ამბავი, ან კიდევ იქნება რომელსამე სამეცნიერო ჟურნალს საზოგადო მოსაზრებანი გამოეთქვა, ასეთი მაგალითად—ამიცანები სისტემატიურად არის დალაგებული, შინაარსით ბევრით განირჩევაო სხვა ამისთანა კრებულებისგანაო, ან კიდევ რაიმე შეცდომას გამოსძებნიდნენ და იმაზე ლაპარაკით გაზეთის სვეტებს შეავსებდნენ. მაგრამ ჩვენთვის, რა ნაკლულევანებაც უნდა ჰქონოდეს ამ მხრით, მას აქვს ერთი უმთავრესი ღირსება, რომელიც ყველა ნაკლულევანებას ჰფარავს. ეს ღირსება ის არის, რომ ეს კრებული გვაძლევს საშუალებას, თუ ჩვენ არა, ჩვენს შვილებს მაინც მისცეს ბუნებრივი ჭკუის საზდო და ის სულის გამაცოცხლებელი ენა, რომლის უქონლობა ეხლა მთელს ჩვენს არსებას რაღაც მომაკვდავის ბეჭედს ასვამს. რითი განირჩევა უენო ადამიანი პირუტყვისაგან და ვინ იცნობს ჩვენში ნასწავლს, განათლებულს ყმაწვილს, რომელსაც შეეძლოს სამის წლის განმავლობაში უყოყმანოდ, თავისუფლად განმარტოს სულ უბრალო თავისი აზრი? სამაგიეროდ, ვის არ გინახავთ ის დარბაისელი სოფლელები, რომელთაც ანბანიც იქნება არ იციან, მაგრამ მშვენივრად, დალაგებით გამოსთქვამენ თავიანთ აზრს! რას მიეწეროს ეს გარემოება, თუ არა იმას, რომ ჩვენ პატარაობითვე მუნჯურად ვართ აღზრდილნი, რომ ჩვენ სიცოცხლეში ერთხელ არ შეგვხვედრია შემთხვევა ჭკუას ძალა დაუტანებლივ გამოგვეთქვა ჩვენი აზრი. აი ეხლა გადავშალე კრებული და წავიკითხე: „კიბეზე დასაფენად იყიდეს ფარდაგი, $10^1/_2$ არშინი სიგძით, და მისცეს 42 მან. და 84 კაპ. რომ დაფინეს, ნახეს, რომ კიდევ დააკლდა $2^3/_4$ არშ.; რამდენი მანეთი დაუჯდებათ ეს $2^3/_4$ არშ. იმავე ფარდაგისა? ამაზე მარტივისა და გასაგების ენით შეიძლება კიდევ გამოითქვას ეს ამიცანა?! მე მინდოდა ამ ამიცანის ახსნას შევსდგომოდი ისე, როგორც წესი მოითხოვდა; მაგრამ, წარმოიდგინეთ, მანამდისინ სჯას შევუდგებოდი, უკვე გამოვიცანი კიდეც და, იცით, რამდენი სიტყვა ვიხმარე ამ გამოცნობაში? სულ ცოტა: თუ ის ღირს ამდენი... მაშასადამე, ეს ასე... ის ისე... და აი მთელი ჩემი სიტყვები, რომელიც ამ ამიცანის ასახსნელად ვიხმარე. დანარჩენი სიტყვები, რომელიც საჭირო იყო, ვიგულისხმე.

და აი მთელი ჩვენი სიცოცხლე, პირველ ანბანის დაწყებიდან, ამ ნაირად ვავარჯიშებთ ჩვენს გონებას. ყოველი სიტყვა, რომლითაც გვინდა ჩვენი აზრი გამოვხატოთ, საძებნელი გვაქვს. სიტყვა ვერ მისდევს აზრს, ამიტომ იგი ყოველთვის აბდა-უბდა და დაუმთავრებელ აზრის გამომხატველად რჩება. აზრი, რომელიც ჩვეული არ არის, რომ მას მოსდევდეს მისი გამომხატველი სიტყვები, მოკლებულია აგრეთვე სისტემატიურ თავის ვითარებას. ამიტომ როდესაც მოვინდომებთ ხოლმე ჩვენის აზრის დალაგებით გამოთქმას, გონება გვეფანტება და გვავიწყდება ის, რაც უნდა გვეთქვა. ეს ნაკლულევანება მწერლობაში იხატება. იქნება სხვა მიზეზებიც იყოს, მაგრამ საფიქრებელია, რომ სიცოტავე ჩვენში მოთხრობების მწერალთა, ერთის მხრით, უნდა აიხსნებოდეს იმითი, რომ მათ მეტად უძნელდებათ თავიანთის აზრის გამოხატვა.

ეს ღირსშესამჩნევი ნაკლულევანებაა და ამაზე ფიქრი გვმართებს. აბა ჩვენ, მუნჯურად აღზრდილებს, რაღა გაგვასწორებს და საჭიროა მომავალზე ვიფიქროთ ამ მხრით. ეს ამიცანათა კრებულები და საზოგადოდ მათემატიკური თხზულებანი მეტად კარგ წამლად უნდა ჩაითვალოს, როგორადაც საუკეთესო გონების სავარჯიშო საგანი. გამოცდილება ნებას გვაძლევს ვურჩიო ჩვენს ახალგაზდა მოსწავლეებს, რომ ზურგს ნუ შეაქცევენ ყველა ამ ნაირ თხზულებას. როგორც გასართობი საგანი, აიღონ ეს კრებული და ავარჯიშონ, როგორც გონება, ისე სამშობლო ენა. ეს მათს სწავლას თუ წინ არ წასწევს, უკან არ დააყენებს. სასაცილოდ ნუ დარჩებათ ქართულ ენაზე ამიცანათა კრებული, მით უფრო რომ სხვა ენაზედაც ბევრს ვერ გამოსძებნიან ამნაირ კრებულს.

ავტორს, ეტყობა, რომ თავის თავის ძალ-ღონე მოუხმარნია, რომ კრებული უკეთესი გამოსულიყო, ვიდრე ისინი, რომლითაც უხელმძღვანელნია, და ამ მხრით სწორედ რომ მიუღწევია თავის საწადელისათვის. მე უფრო მომწონს მისი მარტივი, მოკლედ და ცხადად გამომხატველი ენა, თუმცა ტერმინი „სინჯი“ როგორღაც არ მეჭაშნიკება. თუ არ ვცდები, ფოლადზე ამბობენ „ნაცადიაო“ და ეს სიტყვა უფრო გამოჰხატავს იმ დალს, რომელსაც ავტორი სინჯს ეძახის.

სინანულით უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი ისე ძალიან გაუტაცნია იმ აზრს, ეს ჩემი კრებული სხვა კრებულებზე უკეთესი გამოვიდესო, რომ ცოტა არ იყოს დაჰვიწყებია, რომ ეს კრებული ქართველთათვის არის; ამითი უნდა აიხსნას ის გარემოება რომ არც ჩვენს საწყაოზე, არც ზომაზე, არც ფუთზე თითქმის ერთი-ორი ამიცანა არ არის შედგენილი. საქართველოს ყოველ კუთხეში თითქმის თავ-თავიანთი ალაგობრივი საწყაო-ზომა აქვთ და ამის ცოდნა ყველა ქართველისათვის, თუ საჭირო არა, მეტი მაინც არ იქმნებოდა. აგრეთვე, რასაკვირველია, კარგია ვიცოდეთ მიუნხენსა და სტრასბურგს შუა რა მანძილია, მაგრამ მეტი არ იქმნებოდა გვცოდნოდა, ქუთაისი უფრო შორს არის ქალაქიდგან, თუ თელავი. სწორეთ მოგახსენოთ, აღარც-კი მახსოვდა, კიმერი სადაური საწყაო იყო, მაგრამ ურემი, საპალნე, კოკა, ჩაფი, დოქი, ფუთი, ჩარექა,—თითქმის ყოველ დღე მესმის.

იქმნება ეს მცირე შენიშვნაც უალაგო იყოს იმ დიდ შრომასთან, რომელიც ავტორს მიუძღვის. მაგრამ როდესაც ადამიანი შრომობს იმისთანა წიგნისათვის, რომელსაც, წინადვე კარგად იცის, ჯერ-ჯერობით ათასში ერთი ძლივს დაინახავს, ის ადამიანი, ვამბობ, არც არავის ტაშისკვრას მოელის.

ვ—მ

## რუსეთი

ჩვენ ამას წინადა გვქონდა ნათქვამი, რომ ცვლილებანი უნდა იქმნას შემოღებული პეტრე რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემიაში. რუსულ გაზეთების სიტყვით, სხვათა შორის, შემდეგი ცვლილებანი იქმნება შემოღებული: „აკადემიაში 200-ზედ მეტს სტუდენტს არ მიიღებენ; 2, მიღებულნი იქმნებიან მხოლოდ მამულის პატრონთ და მემამულეთა შვილნი და 3, სტუდენტები ვალდებულნი იქმნებიან აკადემიის საზოგადო საცხოვრებელ ბინაში იცხოვრონ და წლის ხარჯად 400 მან. გადიხადონ.

## როდის უნდა დავაწყებინოთ ბავშვებს სწავლა

იმ საკითხზედა, თუ როდის უნდა დავაწყებინოთ ყმაწვილს სწავლა, სხვა-და-სხვა პასუხს იძლევიან მშობლები და აღმზრდელნი. ზოგიერთი პატივცემული პედაგოგები, რომელთაც თვალ-ყური უდევნებიათ ყმაწვილების განვითარებისათვის, იმ აზრისანი არიან, რომ ვაჟს რვა წლისაზედ ადრე არ უნდა დავაწყებინოთ სწავლა, ქალს შვიდის წლისაზედ ადრე არაო. ამისდა მიუხედავად, იმ ოჯახებში, სადაც უფროსი ყმაწვილები არიან, ხშირად უმცროსნი, ოთხისა და ხუთის წლისანი, სწერენ და კითხულობენ. რასაკვირველია, ბავშვებს ზოგჯერ ეს წაბაძვით მოსდით. ზოგჯერ-კი და უფრო უმეტესადაც, მშობლები თავისს მოვალეობადა სთვლიან ადრევე დააწყებინონ ყმაწვილებს სწავლა იმ იმედით, რომ ადრევე მიეჩვევიან სწავლის სიძნელესაო.

თუნდა იმის შესახებაც არა ვსთქვათ-რა, რომ ადრევე დაწყებული სწავლა ცუდად ჰმოქმედობს ყმაწვილის აგებულებაზედ, ვიკითხოთ, აბა რა სარგებლობაა, ყმაწვილს რომ ადრე დავაწყებინოთ სწავლა? იმის ნაცვლად, რომ ბავშვმა ირბინოს, ითამაშოს, თავისდა-თავად გაიცნოს სხვა-და-სხვა ნივთები, წიგნს მოუსვამენ ხოლმე და სხვისის ნაწერით ჰსურთ გააცნონ ქვეყნის ავი და კარგი.

აი რას ამბობს სწავლების დაწყების შესახებ შესანიშნავი პედაგოგი პრეიერი თავისს ეხლა-ხანს გამოცემულს წიგნში: ყმაწვილს რაც შეიძლება თავისუფლება უნდა მიეცეს, რომ დრო ჰქონდეს თავად გაიცნოს ყოველივე, თვალ-ყური დააკვირვოს ქვეყანას და გამოცდილება შეიძინოს: ყველა ის, რასაც ყმაწვილი თავისის ყურით გაიგონებს და თვალით დაინახავს, უფრო სასარგებლოა, სხვისის პირით ახსნილთან შედარებით. მართლაც-და, როგორ უნდა ავუხსნათ აბა ყმაწვილს განსხვავება წითელსა და მწვანე ყვავილს შორის, გემოვნებისა და ხმის გაგებათა შესახებ! თვითვე უნდა ჰნახოს და გაიგონოს, რომ გაიცნოს და ამ გვარი თვით-ცნობა უფრო კეთილს ნაყოფს მოიტანს, ვიდრე სხვისის გამოცდილების შთანერგვა გულში და ჩაძახება ყურში. თამაშობისა და ცელქობის დროს ყმაწვილი ძვირფასს მასალასა ჰკრეფს შემდეგში განსავითარებლად. ძნელია აზროვნობის სწავლება, რადგან აზროვნობას ყმაწვილი თითონვე სწავლობს, თავისდა-თავად, ისევე, როგორც ხედვასა და სმენას. შეიძლება ხელი წავუმართოთ აზროვნობის ნიჭის გახსნას და ენის ამოდგმას, მაგრამ მისი აზრი შემცდარი იქნება, თუ ადამიანი ყმაწვილობიდგანვე ყოველსავე თითონ არ გამოსცდის. ძალიან უნდა ვუფრთხილდეთ ცალკ-კერძო განვითარებას, რადგან ყმაწვილობაში ჩადენილის შეცდომის გასწორება ძნელია მაშინ, როდესაც იგი დაჭაბუკდება.

ამას გარდა იმასაც უნდა ვერიდნეთ, რომ ყმაწვილს სხვა-და-სხვა, მრავალ-გვარ ცოდნის ნაწყვეტ-ნაგლეჯები არ მივაწოდოთ. რამდენიც ადრე შევძრავთ მის ტვინს დამუშაობას დავაწყებინებთ, მით უფრო ჩქარა მოიღალება და, პირ-იქით, რამდენიც დაზოგვით მივაწოდებთ გონების საზრდოს, მით უფრო დიდხანს შერჩება სინორჩე და სიახლე გონებისა, ის ძვირფასი ღირსება, რომლის ძალითაც ადამიანი ყოველსავე დიდის გულის-ყურით ადევნებს თვალს და ხშირად ერთს რომელსამე საგანს მიაპყრობს ხოლმე გონებას. ყმაწვილს პირველში არ შეუძლიან ერთსა და იმავე საგანს მიაპყრას დიდხანს ყურადღება დაუღალავად და მოუქანცავად; ამას თითონვე ეჩვევა, უფროსთა უჩვენებლად, თამაშობისა და ცელქობას დროს. აი, ამიტომ უფროა საჭირო არ შევუმციროთ და არ შევუმოკლოთ ის დრო, რომლის განმავლობაშიაც ყმაწვილი ბევრს რასმესა სწავლობს თავისის საკუთარის გამოცდილებით.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** პალატა მირმონის არჩევანის განხილვაში იყო, როცა აფეთქება მოხდა. ხალხი რომ ცოტათი დაწყნარდა, დიუპუიმ სთქვა: „ასეთი ბოროტ-მოქმედება პალატას ვერ აალელვებს, და ამიტომ გთხოვთ დამშვიდდეთ და ჩვენი საქმე განვიხილოთ. როცა მორიგ საქმეთა განხილვას გავათავებთ, ბიურო თავის მოვალეობას შეასრულებს“. (ხანგრძლივი ტაშის ცემა) პალატა ისევ ისე შეუდგა მირმონის არჩევანების განხილვას, თუმცა დეპუტატები ძლიერ იყვნენ აღელვებულნი. ერთი მესამედი დეპუტატთა თავიანთ ადგილებზედ დარჩნენ, დანარჩენნი დაიმალნენ. პალატის დარბაზში იპოვნეს რკინისა და ტყვიის ნამტვრევები ყუმბარისა. კვესტორებმა მაშინვე ჩაჰკეტეს ყველა კარებები. დაჭრილთა რიცხვი ჯერ სწორედ არ არის გამორკვეული. დაჭრილებს მაშინვე შემწეობა აღმოუჩინეს. ერთი დაჭრილთაგანი ამტკიცებდა, მე თითონ ვნახე, ერთმა ჩემმა მეზობელმა რომ დარბაზში ყუმბარა გადააგდოო. ტრიბუნაზედ 20 კაცი დაიჭრა, მათ შორის რამდენიმე ქალი. ამბობენ, მოკლული არავინ იქმნაო. აბბატი ლემირი და ერთი კარის კაცი მხოლოდ დაჭრილნი არიან, თუმცა მძიმედ-კი.

პალატამ რომ მირმონის არჩევანი განიხილა, კაზიმირ პერიემ მადლობა გამოუცხადა პალატას იმის გამო, რომ ჩემი თხოვნა შეიწყნარეთ და კრება არ დაიშალაო. „პალატამაო,—სთქვა მინისტრ-პრეზიდენტმა,—თავის მოვალეობა შეასრულა, მთავრობაც თავისს მოვალეობას შეასრულებს და აღასრულებს კანონს. (ხანგრძლივი ტაშის ცემა). კრება დაიშალა. დერეფანში პრეზიდენტს დიუპუის თანაგრძნობის ნიშნად მანიფესტაციები გაუმართეს. დეპუტატები, ჟურნალისტები და მაყურებლები იძახდნენ: „გაუმარჯოს დიუპუის!“ დიუპუიმ უპასუხა: „გაუმარჯოს რესპუბლიკას“. საზოგადოდ დაშავებულნი ძლიერ მძიმედ არ არიან დაჭრილნი. უფრო ბევრი მხოლოდ გაკაწრულია. მთავარ პროკურორი და პროკურორი რესპუბლიკისა ბურბონის სასახლეში მივიდნენ. ცნობის მოყვარე ხალხი ბევრი არ შეგროვილა.

—

გუშინდელ ნომერში აწერილი გვქონდა საქმე ბარონ რადენისა, რომელსაც ბრალსა სდებდნენ, დანიის აფიცერი მოჰკალიო. საფრანგეთის სასამართლომ ბარონი რადენი გაამართლა. ბარონესსა რადენი იმავე დღეს

პარიჟს წავიდა. მეორე დღეს იქვე წავიდა ბარონი რადენიც. რადენს მრავალი მილოცვის ბარათი მიუვიდა, ხოლო არა გვგონია, რომ დიდის სიამოვნებით წაეკითხოს შემდეგი პროტესტი „სოციალისტთა ლიგისა“:

„ლიგამ განიხილა საქმე რადენისა: მიიღო რა მხედველობაში, რომ არც ერთი უფლება არ არსებობს უმოვალეობოდ, რომ აწინდელ წეს-წყობილების ძალით მამა-კაცი მოვალეა იზრუნოს თავის მეუღლისთვის და მაშასადამე არავითარი უფლება არ უნდა ჰქონდეს მასზედ, თუ თავისი მოვალეობა არ შეასრულა, და რადენი-კი პირიქით თავის ცოლის ფულითა სცხოვრობდა,—ლიგამ გადასწყვიტა: რადგანაც ბარონი რადენი თავის ცოლის საკუთრებაში მხოლოდ სასიამოვნო პირუტყვი იყო და მეტი არაფერი და ამიტომ მისი ჩარევა ცოლის საქმეში ისევე სასაცილოა, ძაღლმა რომ თავის პატრონს კანონები დაუდოს, ამიტომ რადენის გამართლება სრული უგუნურობა იქმნება.

## თეატრის მატიანე

—

გაჭირვებულ არტისტთა დამხმარებელ საზოგადოებას განზრახვა აქვს დააარსოს პეტერბურგში საგანგებო ბიურო, რომელსაც საგნად ექმნება შუამავლობა გასწიოს არტისტთა და ანტრეპრერენერთა შორის.

პეტრბურბურგის საიმპერატორო თეატრის გამოჩენილი არტისტი ქალი სწერს ამ ბიუროს შესახებ:

„ამ ჟამად ანტრეპრენერებს თავიანთი საქმე კარგად ვერ მიჰყავთ, რადგანაც ახალგაზდა და გამოუცდელ არტისტებს ეტანებიან, რომელთაც არ შეუძლიანთ ახალ როლების დასწავლა და ხალხიც იმიტომ არ დადის პროვინციების თეატრებში.

საგანგებო ბიურო იზრუნავს აქტიორთათვის და არა ისეთ კაცებისთვის, რომლნიც მხოლოდ იმიტომ ეტანებიან სცენას, რომ სხვა საქმე ვერა უშოვნიათ-რა. ამიტომ თუ ანტრეპრენერთა და არტისტთა შორის საშუამავლო ბიურო დაარსდა, დიდს სარგებლობას მოუტანს სცენის ყველა პატიოსანსა და მშრომელს მუშაკს.

## გასართობი

—

ჭკრცოგი ძალიან გულ-უბრყვილო და უმეცარი კაცი იყო. ერთხელ ერთმა ქალმა ამ ჭკრცოგის თანადასწრებით სთქვა, რომ შვილები არა მყავსო. ჭკრცოგმა, იმის შესატყობად, გვარეულობით ხომ არ მოსდგამთ უშვილობაო, ჰკითხა ამ ქალს:

— დედა-თქვენს შვილები ჰყავდაო?

—

ახალგაზდა ჯარის კაცი ერთხელ ქალაქში დასეირნობდა და ერთის სახლის ქვემო სართულის ფანჯარაში თუთიყუში დაინახა. ეს ფრინველი თავის დღეში არ ენახა, დადგა და დიდხანს დაუწყო სინჯვა და თვალიერება.

— გამარჯობა, ჯარის კაცო! ჩამოსძახა უცბად თუთიყუშმა.

შეშინებულმა ჯარის კაცმა მაშინვე ქუდი მოიხადა, გამოიჯგიმა და მოახსენა:

— მომიტევეთ, თქვენო კეთილ-შობილებავ, მე ჩიტი მეგონეთო!

## გამოსადეგი ცნობა

—

ბამბა ნარევია თუ არა მატყლისა ანუ აბრეშუმის ქსოვილი? ამის შესატყობად ერთი უბრალო, მაგრამ ძალიან კარგი საშუალება მოიპოვება. ქსოვილის ანაჭერი უნდა დაძენძოთ ცალკცალკე ძაფად და დასწვათ. თუ ძაფი ნელა იწვის, ნამწვსა სტოვებს და დამწვარს ბუმბულის სუნი უდის, აშკარაა, რომ აბრეშუმისა ანუ მატყლისა ყოფილა და არა ბამბისა. თუ აბრეშუმისა და მატყლის ქსოვილში ისეთი ძაფი შეგხვდათ, რომელიც სწრაფად იწვის, იფეთქავს ხოლმე, ნაცარს არა სტოვებს და დამწვარ ბუმბულის სუნი არ უდის, უეჭველად ბამბისა იქმნება. ამ საშუალებით ქსოვილის ანაჭერის ძაფები რომ დასწვათ ერთი მეორეს შემდეგ, ადვილად შეგიძლიანთ იცნოთ, ბამბა ურევია თუ არა აბრეშუმისა და მატყლის ქსოვილში და, თუ ურევია, ბევრი თუ ცოტა.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

ამერიკის ერთს გაზეთში სწერია:

ჩვენმა მწერლებმა კარგად უნდა იცოდნენ, რომ მათი ბედი და იღბალი ქალების ხელშია, რომელთაც მეტი დრო აქვთ და ამიტომ ბევრ წიგნებსაც კითხულობენ. გარდა ამისა ჩვენი ქალები უფრო განათლებულნი არიან მამაკაცებზედ. მამაკაცნი გაზეთების მეტს არას კითხულობენ, ქალებს-კი ძლიერ უყვართ წიგნების კითხვა.

# დეპეშა

3 დეკემბერი

**პარიჟი:** ათს უცხოელს გამოეცხადა გუშინ ბრძანება, რომ საფრანგეთი უნდა დასტოვოთ რვა დღის განმავლობაშიო.

პალატამ უარ-ჰყო სარჩიელი გამოძიების წარმოებისა მუშათა გაფიცვის შესახებ ჩრდილო და პა დე-კალეს დეპარტამენტებში; უარ-ჰყო აგრეთვე წინა-დადება იმის შესახებ, რომ გამოძიებულ იყო, თუ რა გვარად არის მოწყობილი მუშაობა ქვა-ნახშირის ყველა მადნებში.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | $7^{5}/_{8}$ | $7,_{64}$ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 152 | $152^{3}/_{4}$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | $245^{1}/_{4}$ |
| —მეორისა . . . . | | — „ | $220^{1}/_{2}$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | — „ | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . | $100^{1}/_{2}$ | — „ | — „ |
| 5%. . . . . | — „ | 99 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | $100^{1}/_{2}$ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | 99 | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $97^{1}/_{2}$ | — „ | — „ |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვორო სსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ნებართვით

**ქ. ტფილისში გავმართე „ცნობების შესაკრები კანტორა“** და **წინდადაც ფული შევიტანე.** ამ კანტორაში შეიძლება ცნობების შეკრება სახლის დაქირავების შესახებ და აგრეთვე მზარეულისა, მოსამსახურისა, ძიძისა, მასწავლებელისა, მასწავლებელ-ქალისა. აღმზრდელ-ქალისა, მეეტლისა და სხვათა გამო, რომელნიც სამსახურში სადმე აპირებენ შესვლას. ვინც თავისს განცხადებას შემოიტანს ადგილის მსურველთაგანი 30 **კაპ. გადაჰხდება,** ვინც ამ კანტორის შემწეობით დაიქირავებს მსახურს—50 კაპ.

**კანტორა იმყოფება** სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლაში, **ლანკოს** მაღაზიასა და ცენტრალურ წიგნთ-საცავის გვერდით. **სხვა ქალაქებიდგან** ვთხოვთ ამ ადრესით მოგვმართონ. კანტორა ღიაა დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 4-დგან 7 საათამდე. (5—2)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—132)

# გამოსადეგ ცნობანი

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—$10^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, $10^{1}/_{2}$—$11^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი $12^{1}/_{2}$—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

# СОЧ. ДОСТОЕВСКАГО
# „НИВА“
## БЕЗПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ НА 1894 Г. ПРИ ЖУРНАЛѢ

подписчики „НИВЫ“ на ЮБИЛЕЙНЫЙ 1894 г. получатъ:

52 №№ журнала “НИВА“ (до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ).

12 КНИГЪ соч Ѳ. М. ДОСТОЕВСКАГО.

12 ВЫПУСКОВЪ »Ежемѣсячныхъ литературныхъ приложеній».

12 №№ „Парижскихъ модъ“ (съ 300 модн. рис. въ годъ).

12 №№ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ (съ 600 рисунк. и чертежами въ теченіе года).

2 ОФОРТА профессора Ив. Ив. Шишкина.

КАРТИНА проф. Ю. Ю. Клевера ‹Островъ Наргенъ», отпечатан. 15 красками.

КАРТИНА художника Расмуссена „Неро-Фіордъ въ Норвегіи“, отпечатан. 18 красками.

СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ, отпечатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

За годовое изданіе

„НИВЫ“

со всѣми приложеніями:

безъ доставки въ С.-Петербургѣ 5 р.

съ доставкою въ С.-Петербургѣ

безъ доставки въ Москвѣ чр. конт. Н. Печковской . . . 6 р.

съ пересылкою иногороднымъ 7 р.

За границу . . . . . 10 р.

Съ требованіями обращаться въ ГЛАВНУЮ КОНТОРУ журнала „НИВА“, СПБ., Невсій пр. № 6.

Допускается разсрочка платежа въ 2 и въ 3 срока



**Въ Б. Жуковскій** С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель А. Брокгаузенъ

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები სურველს საჩქაროდ გაეგზავნება.


Доз. ценз. Тифлисъ, 4-го Декабря 1893 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე